



15 აგვისტო, 2023

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურს

და

საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ბაზრის
ზედამხედველობის დეპარტამენტს

მოგესალმებით,

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის N181/04 ბრძანებით დამტკიცებული „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესით“ გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად ემიტენტი საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს ნახევარი წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშსა და მმართველობის ანგარიშგებას.

მოგახსენებთ რომ, ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო მითითების გათვალისწინებით, შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ 2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება წარმოდგენილია კომპანიის ვებ-გვერდსა და saras.gov.ge -ს პორტალზე კონსოლიდირებულ ფორმატში.

2023 წლის 30 ივნისის მდომარეობით, შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ ფლობს 100 % იანი წილით, შვილობილ კომპანიას შპს „პრაიმ ლიზინგს“ (შემდგომში „შვილობილი საწარმო“ ხოლო ერთად „ჯგუფი“) რომელიც 2012 წლის 27 იანვარს დაფუძნდა საქართველოში. შპს „პრაიმ ლიზინგი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 401967109) უფუნქციო კომპანიაა და მას 2022 წლის 30 ივნისის მდომარეობით უფიქსირდება ჯგუფის მთლიანი ბრუნვის 0.1%-ზე ნაკლები ბრუნვა და მისი აქტივები წარმოადგენს ჯგუფის მთლიანი აქტივების 0.5%-ზე ნაკლებს.

ვინაიდან ჯგუფის შვილობილი საწარმო არაარსებითია, ჯგუფმა წარადგინა მხოლოდ კონსოლიდირებული ნახევარი წლის ფინანსური და, შესაბამისი, მმართველობითი ანგარიშგება.

პატივისცემით,

მადონა ბაიდოშვილი

გენერალური დირექტორი